სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აკადემიური საბჭო
დადგენილება №01-05-04/92

ქ. თბილისი

21 ივნისი 2024 წ.

საგანმანათლებლო პროგრამის მოდიფიცირებული სახით დამტკიცების შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 21-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 9 სექტემბრის №133/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წესდების“, ბიზნესტექნოლოგიების ფაკულტეტის დეკანის მოხსენებითი ბარათის, ფაკულტეტის 2024 წლის 20 ივნისის საბჭოს სხდომის №4 ოქმის და აკადემიური საბჭოს 2024 წლის 21 ივნისის №01-05-02/18 ოქმის საფუძველზე **საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აკადემიურმა საბჭომ დაადგინა:**

1. მოდიფიცირებული სახით დამტკიცდეს ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამა „სასტუმრო მომსახურება“.
2. წინამდებარე დადგენილება ძალაში შევიდეს 2024-2025 სასწავლო წლიდან.
3. დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს გამოქვეყნებიდან 1 თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოში ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის მეშვეობით, მდებარე: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი №64.

აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე **დ. გურგენიძე**

აკადემიური საბჭოს მდივანი **ი. კუტუბიძე**